



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 13373-02
01/11/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.


გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 4 ფურცელი.

პატივისცემით,

გოჩა ჯანგიძე

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობისშესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გოჩა ჯანგიძე

საანგარიშო პერიოდი: 20.11.2017 – 01.11.2018

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
3. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წევრი;

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია;

❖ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომის რაოდენობა:27 სხდომა (13 რიგითი, 14 რიგგარეშე);

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: 24სხდომა;

ბიუროს სხდომის რაოდენობა:25 სხდომა;

ბიუროს სხდომაზე დასწრება:25 სხდომა;

❖ საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

70 დადგენილება;

178 განკარგულება;

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

▪ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

ჩატარდა -15 სხდომა;

დასწრება -15სხდომა;

ბ) ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“:

ჩატარდა - 1სხდომა

დასწრება -1 სხდომა

❖ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1. „მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის“ წევრი;

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;
- გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2017 – 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;
- დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;
- ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით - მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების, ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის/გეგმის დამტკიცება და მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

❖ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა

საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს. მისი სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია კომისიის დებულებით და განიხილავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიიდან ინიცირებულ საკითხებს.

კომისია აქტიურადაა ჩართული კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებული პრობლემატიკის განხილვაში და მათი ეფექტურად გადაჭრა მის პრიორიტეტს წარმოადგენს.

კომისიის მიერ მუშა პროცესში აქტიური ჩართულობით, მხარდაჭერილ იქნა ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2017 – 2018 წწ. ინფრასტრუქტურული პროექტები.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად იმართებოდა შეხვედრები ამომრჩევლებთან, იკვეთებოდა მათი პრობლემები და მუშავდებოდა გადაჭრის გზები. მოსახლეობის მხრიდან წამოჭრილი მოთხოვნებისა და ინიციატივების გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა არაერთი პროექტი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი წარმატებით დაასრულა და უფლებამოსილების ვადაში კვლავ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას.

შევსების თარიღი: 31. 10. 2018 წ.

ხელმოწერა: გოჩა ჯანგიძე